დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება N31

2016 წლის 1 ივლისი
ქ. დუშეთი

## დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ.“ ქვეპუნქტის, 85[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ივნისის N22 განკარგულების შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმა დანართის შესაბამისად;

2. განკარგულება დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

საკრებულოს თავმჯდომარე გივი ზურაბაშვილი

საქართველო
დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსულია №: 209
"06" 07 2016წ
ფურცელი ___ ბვერდი ___

დანართი 1.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმა

<table>
<tr><th>N</th><th>საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება</th><th>საპრივატიზაციო ობიექტის აღწერა</th><th>აუქციონის ფორმა</th><th>საწყისი საპრივატიზებო ღირებულება ლარებში</th><th>აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი</th></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td></tr>
<tr><td>1</td><td>სოფ. ზანდუკში მდებარე ავტოფარეხი და საწყობი</td><td>მისამართი: სოფ. ზანდუკი.<br>საკადასტრო კოდი: 71.58.26.034<br>მიწის ნაკვეთის ფართობი: 1688 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა.<br>შენობა-ნაგებობზება #1 ფართობი: 270.41 კვ.მ.<br>შენობა-ნაგება #2 ფართობი: 15.49 კვ.მ.</td><td>უპირობო ელექტრონული აუქციონი</td><td>5739.2</td><td>ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან საბოლოო თანხის გადახდა უნდა მოხდეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.</td></tr>
<tr><td>2</td><td>დაბა ფასანაურში, ფასანაურის ხიდის რეკონსტრუქციისას დარჩენილი მეორადი მოხმარების რკინა-ბეტონის ფილები.</td><td>მისამართი: დაბა ფასანაური.<br>18 (თვრამეტი) ერთეული რკინა-ბეტონის მეორადი ფილა.<br><table>
<tr><th>№</th><th>ბეტონის ფილების პარამეტრები (მxმ)</th><th>რაოდენობა (ცალი)</th><th>ფილების ფართობი (კვ.მ.)</th></tr>
<tr><td>1</td><td>1.55x3.25</td><td>5</td><td>25.19</td></tr>
<tr><td>2</td><td>1.8x3.9</td><td>1</td><td>7.02</td></tr>
<tr><td>3</td><td>1.5x3.9</td><td>3</td><td>17.55</td></tr>
<tr><td>4</td><td>1.55x3.3</td><td>2</td><td>10.23</td></tr>
<tr><td>5</td><td>3.9x1.8</td><td>1</td><td>7.02</td></tr>
<tr><td>6</td><td>3.9x1.5</td><td>1</td><td>5.85</td></tr>
<tr><td>7</td><td>1.7x3.9</td><td>1</td><td>6.63</td></tr>
<tr><td>8</td><td>1.8x3.9</td><td>2</td><td>14.04</td></tr>
<tr><td>9</td><td>3.3x1.55</td><td>2</td><td>10.23</td></tr>
</table></td><td>უპირობო ელექტრონული აუქციონი</td><td>830</td><td>ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან საბოლოო თანხის გადახდა უნდა მოხდეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.</td></tr>
</table>